საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-11/312
23/05/2019

312-შ-19-1-4-201905231235

შპს „სტარ ნეთვორქსის“ (ს/კ 440886490) წილის 45%-ის შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია”) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „სტარ ნეთვორქსმა“ (განცხადების კომისიაში რეგისტრაციის №19-6/2033 03.05.2019; დაზუსტებული განცხადება №19-6/2190 14.05.2019), შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 45%-ის ფიზიკურ პირ ლევან ომაძის მიერ შეძენაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შერწყმის ან წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში, ან რომლის წილის, აქციების, ან საოპერაციო აქტივის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

შპს „სტარ ნეთვორქსი“ წარმოადგენს ელექტრონულ საკომუნიკაციო სფეროში ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 30%-ს ფლობს ფიზიკური პირი ლევან ომაძე, 45%-ს ფიზიკური პირი დავით კერესელიძე, ხოლო 25%-ს ფიზიკური პირი იაგო ომაძე. შპს „სტარ ნეთვორქსის“ დირექტორია ლევან ომაძე. ლევან ომაძეს აქვს განზრახვა შეიძინოს ფიზიკური პირის - დავით კერესელიძის კუთვნილი შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის - 45%, რის შემდეგაც ლევან ომაძე გახდება შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 75%-ის მფლობელი.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 45%-ის შეძენის მსურველი ფიზიკური პირი ლევან ომაძე არის შპს „გრინ ნეთვორქსის“ (ს/კ 440889200) დირექტორი და წილის 100%-ის მფლობელი. შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 25%-ის მფლობელი ფიზიკური პირი იაგო ომაძე ამავე დროს არის ავტორიზებულ პირ შპს „გრინ ნეთვორქსის“ (ს/კ 440887391) დირექტორი და წილის 100%-ის მფლობელი. შესაბამისად, შპს „სტარ ნეთვორქსი“ აფილირებულია შპს „გრინ ნეთვორქსთან“ (ს/კ 440887391) და შპს „გრინ ნეთვორქსთან“ (ს/კ 440889200).

კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემების თანახმად, შპს „სტარ ნეთვორქსი“, ასევე მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები: შპს „გრინ ნეთვორქსი“ (ს/კ 440887391) და შპს „გრინ ნეთვორქსი“ (ს/კ 440889200) ახორციელებენ საცალო ინტერნეტ მომსახურებას WiFi ტექნოლოგიის გამოყენებით. 2019 წლის 1 მარტის მდგომარეობით შპს „სტარ ნეთვორქსის“ აბონენტების რაოდენობამ შეადგინა - 18 აბონენტი, შპს „გრინ ნეთვორქსის“ (ს/კ 440887391) – 215 აბონენტი, ხოლო შპს „გრინ ნეთვორქსის“ (ს/კ 440889200) - 180 აბონენტი.

რაიონების ჭრილში ზემოაღნიშნული კომპანიების კუთვნილი ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის ხვედრითი წილი შესაბამის რაიონში არსებულ ინტერნეტ მომხმარებლების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში შემდეგია:

რაიონი	შპს „სტარ ნეთვორქსი“	შპს „გრინ ნეთვორქსი“ (ს/კ 440887391)	შპს „გრინ ნეთვორქსი“ (ს/კ 440889200)
ბორჯომის რ-ნი		**0,4%**	**0,3%**
ქარელის რაიონი	**0,5%**	**2,1%**	**2,2%**
ხაშურის რ-ნი		**1,1%**	**0,7%**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკურ პირ ლევან ომაძის მიერ შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 45%-ის შეძენა ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გავლენას ვერ იქონიებს და აღნიშნული ტრანზაქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავსებადად არსებულ კონკურენტულ გარემოსთან.

შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს ფიზიკურ პირ ლევან ომაძის მიერ შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 45%-ის შეძენაზე თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა შპს „სტარ ნეთვორქსს“, შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 45%-ის ფიზიკურ პირ ლევან ომაძის მიერ შეძენაზე;

2. განემარტოს შპს „სტარ ნეთვორქსს“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „სტარ ნეთვორქსი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;

3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების შპს „სტარ ნეთვორქსისათვის“ გადაგზავნა (ო. ვოტ);

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სტარ ნეთვორქსისათვის“ ჩაბარების დღიდან;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის

ხეივანი, მე-12 კმ., №6), შპს „სტარ ნეთვორქსისათვის“ ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

მერაბ ქათამაძე

კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი